ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 15232723**

თარიღი:**29/09/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 15 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (თანახმად დანართისა) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარით), 5 წლის ვადით შპს „საქართველოს ფოსტა“-სათვის გადაცემის თაობაზე, იმ პირობით, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე განახორციელებს 2017 წლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულებით 5 წლის ვადით მის სარგებლობაში არსებული 18 ერთეული მიწის ნაკვეთის 2022 წლის 24 ოქტომბრიდან ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდის სარგებლობის (იჯარის) საფასურის დაფარვას (გადახდას).

2. წინამდებარე განკარგულების დანართით განსაზღვრული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების წლიური სარგებლობის (იჯარის) საფასური განისაზღვროს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი